

გზაგადასასრული

მწყემსმან კეთილმან სული
თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის
იოან. 10—11.

№№ 5-6

1883—1909 წ.

31 მარტი

შ ი ნ ა ა რ ს ი.

სალიტერატურო განმარტება: ქრისტე ცხოვრება ჩვენი თარგმანი მღვ. იოანე ლევიანოვისა.—დიდი მწყემსი (მოთხრობა წმიდა იოანე ოქროპირის დროიდან) თარგმანი—საუბარი საეკლე კითხვების განმარტების შესახებ.—ეფრენალ გაზეთებიდან—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მცინიება პრინციპალიზმის სარწმუნოებასა და კათოლიკეობაზე: ხარება ღვთის მშობლისა ი. ბალუევის—წმიდა წინასწარმეტყველი ესაი და მისი წინასწარმეტყველების წიგნი.

ქრისტე ცხოვრება ჩვენი.

(სააღდგომო საუბარი).

თარგმანი



ქრისტე აღსდგა მეკდრეთით სიკვდილითა სიკვდილისა და მთრეგნელი და სიფლადების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი

„ქრისტე ცხოვრება ჩვენი“—ასეთ დარიგებას ანუ უკეთ, აღთქმას აძლევს წმ. მოციქული პავლე ქრისტიანებს. ყოველთვის, მაგრამ მომეტებულად ეხლანდელ დროში უფრო საჭიროა ჩვენთვის მოციქულის ამ აღთქმის გახსენება..

„ქრისტე ცხოვრება ჩვენი“,—აქ სულ სამი სიტყვაა; მ გრამ ამ სამ სიტყვაში ნტკიცედ არის გამოთქმული მთელი არსებობა ქრისტიანობისა, იმ ქრისტიანობისა, რომელიც ნამდვილად წარმოშობავს ყოველ ქრისტიანს ახალ ცხოვრებაში, რომელიც თვითელს ადამიანის სულს, როგორც კელურ ზეთის-ხილს ამყარებს ქრისტეს ხეზე, და ამით მიანიჭებს მადლსა ზეგარდმო და აყვავილებს კაცის მთელ შემოქმედებითი ძალას. მაშასადამე, მოციქულის ცნობით, ქრისტიანი ის-კი არ არის, რომელმაც შეისწავლა ქეშმარტებანი ქრისტიანობ-

რივის დღობაზე და ეს იკმარა; არც ის არის, რომელიც თავის ცხოვრებას აწყობს ცნობილ ზნეობრივ კანონებზე, ანუ საზოგადო ეთიკის მოთხოვნილებაზე და ფარისევლურის კმაყოფილებით მიაჩნია თავის თავი, რომ იგი არ არის „ვიტარკა იგი სხვანი“. კემპარიტი ქრისტიანი ის არის, რომელსაც აღზნებულის გულსმოდგინებით შეუძლიან სთქვას მოციქულთან ერთად: „ჩემდა ცხოვრება ქრისტე არს“. (ფილ. 1, 22).

თვინიერ ქრისტეს არ არის ქრისტიანობრივი ცხოვრება. როგორც სინათლე შემოკრებილია მზეში, ფერფივე ქრისტიანობა—ქრისტეში. როგორც ხილულს, ფიზიკურ ბუნებაში მზე აძლევს ყველაფერს სიცოცხლეს და სითბოს, როგორც იგი თავის გამაცოცხლებელის სხივებით აღვიძებს ყველგან შემოქმედებითი ძალებს,—აგრეთვე უნდა ითქვას ადამიანის უკვდავი სულის შესახებაც, რომ საუკუნო, ჩაუვლი „მზე სიმართლისა“,—ქრისტე ღმერთი ჩვენი, აძლევს ყველას სიცოცხლეს—ძლიერს, მადლიანს და წმიდს. ამისთვის სამჯერ ნეტარია ის, ვისაც მიპყრობილი აქვს თვალი ამ შვიდობიან, დაუღამებელ ქრისტეს სინათლისაკენ, რომელიც განსწავლეს ყოველს კაცს, მომავალს სოფელად,—იმიტომ რომ წმ. იოანე მოციქულის სიტყვისამებრ, „ცხოვრება საუკუნო მომცა ჩვენ ღმერთთან, და ესე ცხოვრება ძისა მისისა თანა არს. რომელსა აქენდეს ძე აქვს ცხოვრებაცა; რომელსა არა აქენდეს ძე ღმერთისა მას არცა ცხოვრება აქენდეს“. (ა. იოან V, 12—13). ნეტარია ის! ხოლო ის, რომელმაც, როგორც ოდესღაც ებრაელებმა, მოჰკლა თავის სულში „წინამძღვარი იგი ცხოვრებისა“ (საქმ. მოც. 3, 15), ის, რომელმაც სულიერი უფუერებით „სთქვა გულსა თვისსა: არა არს ღმერთი“ (ფსალმ. XIII, 1),—იმან თითონვე ხელი შეუწყო თავის სიცოცხლიდან შემოქმედებითი ძალის განდევნას. დიდი უბედურობა მოხდება, თუ ეს განხეთქილება შეეხო მთელ ხალხსა!... რა საშინელი სახე სიცოცხლის დაკალიერებისა და მოკვდინებისა იშლება მაშინ ჩვენ წინ!... სქნება და ჰარავას თავის კეთილ-სუნუნლოვან სიხლეს ხალხის გულის სხივებზე; წინანდელი ნათელი და მოძრავი კაცის აზრი ჰარავას სულიერ სიმაღლეს და თავისუფლებას ადგილობრივად მოძრაობისას; სქნება და იღვევა მოქალაქობრივი

ხალხის გრძობა. და წინათ შეურყეველი ნება,— ეხლა შეიმოსრება. აგრეთვე ხალხი, როდესაც გადავა ღვთის გზას და დაადგება „ამა ქვეყნის“ გზეს, თითონვე იმზადებს თავის თავს სულიერ სასიკვდილოდ და ისტორიაში მოსასპობად; და ზღვა საუკუნოებისა გულ-გრილად ჰპარხავს თავის ტალღებში თვით სხოვნას ასეთი ხალხისას.

გავწიჯთ მაშ ჩვენი თანამედროვე ცხოვრება. ყური გავუვლოთ ჩვენი ხალხის ცხოვრების გულის-ცემას. ვკითხოთ ჩვენ თავს, არის ჩვენში ქრისტე? ხომ არ გავრბივართ ჩვენ იმისაგან? ხომ არ გავაძევეთ ჩვენის სულიდან მისი ყოვლად წმინდა სახელი? ხომ არ გვიზადებს ღვთის მრიხსანე მართლ-მსაჯულება შესაფერს სასჯელს?

ფრიად სამწუხარო სურათს ხედავს ჩაფიქრებული გამკვლევი თანამედროვე ჩვენის ცხოვრებისა. ეს ჩვენი დრო არის ნამდვილად გარეგნულის სიმშვენიერისა და სულიერის სიკალიერისა... თვალწარმტაც ოკროს ჩარჩოში ჩასმული, ელექტრონის სინათლით გაბრწყინებული, სდგას ჩვენ წინაშე ეს მოწყენილი სურათი ხალხისა, რომელსაც სარწმუნოება დაკარგული აქვს, ქრისტიანობრივი იდელები დაზოგული, იმედი დაკარგული, სიყვარული მოკლებული... ჩვენ ვხედავთ ხალხს სხვა და სხვა პარტიებზე დაყოფილად, რომელნიც, მოციქულის სიტყვისამებრ, „ურთიერთარს იკბინებთან, და შეიკამებთან“, ასე რომ უნებლიეთ იბადება შიში, რომ „ნუ უკვე ურთიერთარს განილინონ“ (გალატ. 5, 15). მართალია, რომ ამ პარტიებში ბევრი ცხოველი აზრია, წინ მისწრაფებაა, გუმანიურის იდეების ცხოვრებაში გატარება... მაგრამ ამავე დროს, ამ მღელვარე, გაშვებულად—მჩქეფარე არეულობის წარღვნაში ვერ ვხედავთ დაუშრეტელ წყაროებს ქრისტიანობრივის შემოქმედებისას, ვერ ვხედავთ მშვიდობიან და მადლიან განწყობილებას. აქ არ არის ქრისტე. აქ არის თავისუფლება, რომელიც გადადის თავხედობაზე; აქ არის გატაცება, ჰყუის დამატობელი; აქ არის გამბედაობა, რომელიც ხშირად გადადის შეუპოვრობამდის... მაგრამ აქ არ არის ქრისტე...

ყოველ საზოგადოებრივ მოძრაობაში, როგორც მაგალითად, რომელიც მდინარესავით დაუყენებელი წინ მიბრძის, ან ისეთში, რომელშიაც უკან ეწევიან მთელის ძალ-ღონით საზოგადო

ცხოვრების წინ-სვლას, — ამათში არ არის ქრისტე, — მშვიდი, მოსიყვარულე, მოწყ-ლე და მომწოდებელი წყნარის ხმით: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვარლნი და ტვირთ-მიმინე“... (მათ, XI, 28). ჩვენი თანამედროვე ცხოვრების დანახვაზე უნებლიეთ გაგონდება ყველასათვის ბავშობითვე ცნობილი სახარების სურათი: ქრისტე უდაბნოში. გარშემო არეულ-დარეულათ ყრია მზისაგან დამწვარი ქვები... ერთ ქვაზე წმინდა და ნაღვლიანის ფიჭობი შეპყრობილი ზის ქრისტე. მის სიყვარულით აღსავსე თვალებში გამოჩანს დიდი მწუხარება. ის მარტოდ ერთია. ერთია ამ ველურ, უსიკოცხლო დაღვრემილ უდაბნოში, თავის ყოვლის მხედველის ღვთაებრივის თვლით იგი უკვე ხედავს, თუ როგორ იქნება მიღებული მისი ხმა, მისი წმინდა მოწოდება, ხალხისაგან „ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა“... და ამ უსიკოცხლო, შემაწუხებელ, მკედარ სიჩუმეში ერთ-ერთმანეთზე დაყრილი ბო: როტის მომასწავებელი ქვები, — როგორ აგონებენ ესენი ქრისტეს ხალხის გულს, გამხმარს და გაქვევებულს?!.. ვხედავთ თუ არა ამ სურათის მზგავსებას ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაშიაც?

განა არა ვგრძნობთ ჩვენ, რომ ქრისტეს სიმართლე ხელახლა უდაბნოშია, და ჩვენ ვაგრძობთ მისგან? ხალხი თან და თან აფართოვებს ამ უდაბნოს და სხხორავს მას სულ ახალ-ახალის ქვებით.

სამძიმოა აწერა ამ მწუხარე სურათისა — ჩვენის დაშორებისა ქრისტესაგან! მაგრამ უფრო კიდევ სამძიმოა დანახვა იმისი, როგორ უწყალოდ ჰგლეჯავს ბოროტება ადამიანის გულის საუკეთესო ოცნებებს, როგორ დადის ჭეიშაოდ სიმართლე ქრისტესი დაუძლეველ ტვეყნის უდაბნოში. ამის წარმოდგენაზე რაღაც საშინელი სევდა აწევსა კაცის გულს. დიახ! ქრისტე ხელახლა უდაბნოშია ზეცისადმი თავის მოწოდებით. იმისი ქადაგება რომ ზეციურის კანონებით შეიძლება მოსპობა უსამართლოებისა ამ ცოდვით სავსე ქვეყანაზე — ვერ ჰპოვებს ჩვენს გულში თანხმობას... ყური მიუვდეთ ამ დაჟინებულ ოცნებებს ქვეყნიურ სამოთხეზე, ახალ ქვეყანაზედ უზეცაოდ! განა ეს ახალი ქვა არ არის, ნაპოვნი კაცის გულის გამომშრალ უდაბნოში!..

ჩვენ დავივიწყეთ ზეცა, დავივიწყეთ ქრისტე და გვიღდა მოვაწყობ ჩვენი კეთილდღეობა მხო-

ლოდ ჩვენის საკუთარ ძალ-ღონით; ჩვენის საკუთარის იარაღით გვიღდა შევიმუშავით მიწდობი ჩვენის ცხოვრებისა. რა გამოვიდა? დედამიწას არ აღმოჩანდა ის სინოყიერე, რომ ესაზრდოებინა სამოთხის ბალის ფესვები...

პოეზია ქრება... ხელოვნება ადგია გადაგვარების გზას. საზოგადოება მიდის სიკოცხლის სას-წარკვეთილებამდის...

საით წავა ეს განწყობილება? საით წავლენ მისი ნაკალულები? რომელ კერპს აუწყებს თავის მწუხარებას? სად ნახავს თავის ბედნიერებას, ადგილს თავის საიფრის, თავშესაფარს თავის უბედურობის, ღ თავის სურვილისას, თავის მისწრაფებისას სინათლისადმი, მშვიდობისადმი და სხხარული-სადმი?...

მომავალი ჩვენგან დაფარულია, და უწყის მხოლოდ იმან, ვისაც ხელში უქერია ქვეყნიერება. ჩვენ ვერ გავბედავთ ავხადოთ საიდუმლო ფარდა ამ მომავლისა. მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ რომ იმათ წინ, რომლებსთვისაც ძვირფასია წმინდა სიმართლე ზეცისა, იბადება ეხლა ის დიდი გამოცანა, — რომ ის მწუხებელი ხალხი, რომელსაც გზა არევა და არ იცის საით წვიდეს, მოაბრუნონ ქრისტესაკენ და დააყენონ ნამდვილ გზაზე. თორემ, უქრისტეოთ, უსარწმუნოებოთ, ჩვენ ახლოც ვერ მივალთ ზღუდესთან იმ ახალი ცხოვრებისა, რომელსაც ჩვენ ასე მოუთმენლად მოველოთ.

ქრისტიანებო! უთხარით ხალხს, რომ თვითეულმა კაცმა უნდა იცოდეს ქრისტე, რომ იმისი არ ცოდნა და არ სურვილი ცოდნისა არის მიძიმე ცოდვა. უთხარით ხალხს, რომ მისი სასოწარკვეთილება წარმოსდგება ქრისტეს დავიწყებლიდან. იმისთვის და ცალკეოდნა ცხოვრება, იმისთვის და ილია ცხოველი შემოქმედებაც, რომ დასუსტდა სარწმუნოება ქრისტეს მიმართ. მიმართეთ წუხილი თქვენის მოძმეებისა ადგილისკენ „წყალისა ცხოველისა“, რომელიც აღავსებს ყოველ სიკალიერეს კაცის გულისას. უთხარით იმათ მძურათ, ქრისტიანულათ, რომ წმიდა სხხარული ქრისტეს გარეშე არ არის; რამ მხოლოდ იმათ, რომელნიც „ქმევენ პირველად სასუფველსა მღვთისასა და სიმართლესა მისსა“, მიეცემთ ყოველივე დანარჩენი ქვეყნიური საქირო მათი კეთილდღეობისათვის.

ლიახ, უთხარით იმათ ყოველი ეს... უთხარით აგრეთვე, რომ ნორმალურად განვითარებულ კაცის სულისათვის, რომელსაც თვით ბუნებითვე უწოდებენ მას ქრისტიანად, „ზეციური ხმების“ მაგიერობას ვერასოდეს ვერ გასწევენ „მოსაწყენი ქვეყნიური სიმღერები“, და ამისთვის არაფერი სხვა და არაფერ სხვა, არამედ თითონ ქრისტე უნდა შეადგენდეს სულს და გულს ჩვენის ცხოვრებისას და მხოლოდ იგი უნდა იყოს მოძრავ დასაწყისათ თანამედროვე შემოქმედებისა, რომელიც აშენებს ესლა საეკლესიო და საზოგადოებრივ კაცობრიობის ყოფა-ცხოვრებას.

მღვ. იოანე ლუქიანოვი.



დიდი მწყემსი.

(მოთხრობა წმიდა იოანე აქროპოლის დროადამ)

თარგმნა.

1

მესამე სატახტო ქალაქი რომის იმპერიის აღმოსავლეთის ნაწილისა, შედარებით ჯერ კიდევ ახალგაზდა ანტიოქია, სწრაფად იზრდებოდა და მდიდრდებოდა წლითი-წლით. მისი მოხერხებულ მღვდმარეობა დიდ მდინარის შესართავთან ახლოს, ლამაზი ბუნება, მშვენიერი ჰაერი, გზა-ადგილი სავაჭრო ქარავანებისა აზიის, ევროპის და აფრიკას შორის—ყველა ეს იზიდავდა მისკენ თავგამოდებულ და მრავალ-ეროვან ხალხს.

ქალაქი იყო გაშლილი მდინარის გასწვრივ რამდენიმე ვერსის მანძილზე. ბოლოს, ეს ადგილიც ვერ ეყო. დაიწყეს დასახლება წყალში დიდ კუნძულზე, სწორედ ქალაქის პირდაპირ, და იქ წაიშორებინა, ახალი ანტიოქია.

ქუჩები ამა და იმ ანტიოქიისა იყო გაშენებული სავაჭრო საწყობებით, მაღაზიებით და ქარვასლებით. მოედნებზე იდგნენ სასახლეები დიდ-კაცებისა, პალატები მდიდრებისა და დიდი მშვენიერი ტაძრები. უმთავრესი ქუჩა, რომელიც ქალაქ შუა მიდიოდა მთელ მის სიგრძეზე, ბრწყინავდა მარმარილოს შენობების შექიარ.

ამ ქუჩაზედ ხშირად თავს—იყრიდა ხალხი, ერთმანეთში ბაასობდნენ, ისმოდა უდარდელი და ხმა-მაღალი სიცილი.

ერთი შეხედულობით იფიქრება კაცი, რომ აქ მუდმივი დღესასწაულია. და ეს თითქმის ასეც იყო. ვაჭრობა იზიდავდა ბევრს მოვაჭრეთ და მეხომალდეებს. აქ იყო ადგილი იმპერატორის ნამესტნიკისა, მისი მაღალი წოდებით: „მფლობელი აღმოსავლეთისა“ იზიდავდა ანტიოქიაში მთელ ადგილობრივ, სირიის წარჩინებულ პირებს. საუკეთესო ორატორები აქ იზიდავდა დიდ ძალ ახალგაზღობას, რომელნიც ოცნებობდნენ ბრწყინვალე სახელმწიფო მოქმედებაზე, ყოველივე ეს იყო მიზეზი უდარდელი მხიარულებისა, ფულების ფლანგვისა და მდიდრულად ჩაცმულ დახურულ სეირნობისა.

მცირე აზიაში ანტიოქია იყო განთქმული თავისი უდარდელი მხიარულებით, და საზოგადოდ დარდი-მანდი და სუბუქი წინებით. ქაეფობის თავშესაფარად იყო ცნობილი „ადანა“.

—ადანა—მხიარულების თავშესაფარი იყო, იგი—სიცოცხლის ღიმილი იყო, რომელითაც ღმერთებმა დასახუქრეს დედა-მიწა თავის კარგი გუნების დროს,—ასე ლაპარაკობდნენ თითონ ანტიქიელები და მოსული უცხოელებიც. აქ თვით ჰაერიც გაუღვინებოდა იყო მხიარულებით და ლხენი-შვებით. საკმარისი იყო შესუნთქვა ამ ჰაერისა—მაშინვე შულის ნაოკები იწლებოდა და ღიმილი ისახებოდა მწუხარე პირის-სახეზე.

ღემაშთლაც, ადანა იყო მშვენიერი სამოთხისებური ადგილი, საუცხოვო ქალები ადენის ხეებისა იძლეოდნენ სასიამოვნო სიგრილეს და ჩრდილს; იმათში კრეღად გამოსჩინდნენ ათსნაირი სხვა და სხვა ყვავილები; თითოეულ ნაბიჯზე მიწნა-წყარებდნენ შედრევანები. ბრწყინავდნენ გამოქანდაკებული სახლები-თითქოს მორცხვად იმალებოდნენ მარმარილოსაგან გაკეთებული საჩრდილობლები. შუა ადგილს ამშვენებდა შესანიშნავი ტაძა-



რი აპოლონისა, იმათებურათ,—პოეზიის ღმერთისა, უშველღებელის მისი სტატუთ.

სალამობით, ძველი დროის საბერძნეთის ღმერთის პატივსაცემლად, ხალხი დაფინს ქალაში იკრიბებოდა; იქ მღეროდნენ გულის-თქმის ლექსებს, უკრავდნენ სალამურებს; სუფევედა ნამდილი გარყვნილება...

უცებ ყველა ეს დაჩუმდა, თითქოს მოსწყდაო. დაფნაზედაც და მთლად ანტიოქიანედაც ჩამოწვარაღაც შვიი აბრდილი. ჩამოვარდა ბნელი წინასწარი გრძობა.

ხალხში ლაპარაკობდნენ, რომ ბნელ შუაღამისას, უმთავრეს მოედანზე, აეთოა დიდი რაღაც წინწყალი ბოროტის—მომასწავებელი მოლურჯო ელვარებით. ამ სინათლეში გამოჩნდა მრისხანე ცეცხლის დედა-კაცი, ველურად თმა-გაწეწილი, უშველღებელი დიდი მათრახით ხელში. იმან ქარიშხალის გრიგალივით გაიარა ქუჩებში და ხმაურობით არღვედა ჰაერს ჩქარი მათრახის ქნევით.

ცრუმორწმუნე ანტიოქელებს სჯეროდათ ეს ლაპარაკი და შეშინებულები ეკითხებოდნენ ერთმანეთს:

—რას ნიშნავს ეს ხილვა? ხომ არ მოასწავებს იგი რაიმე უბედურებას? ხომ არ უქადის ქალალაქს რამე საშიშარს?

უბედურობა მართლაც მოვიდა, და უცრად დაატყდა ხალხს.

დიდი, ძლიერი და ოდესმე მრისხანე რომის იმპერია განიცდიდა ამ დროს ძველ დღეებს. მისი სიდიადე თითქოს ეცემოდა. რომის ყოფილი მონღლები, თითქმის ნახევარ კვიყნის მბრძანებელი სხვა და სხვა ხალხების ბედის გადამწყვეტნი, ოდესმე ასეთი საშიშარნი და მედიდურნი, შესამწევად ჰყარავდნენ მიზიდულობას. ხშირად ხდებოდა ამბოხება, შეთქმულობა კარის კაცებისა, სამხედრო არეულობა, და კეისრები რომის იმპერიისა ერთი მეორეზე სწრაფად განიდევნებოდნენ მეფობისგან.

სახელმწიფოს განაპირა საზღვრებთან მოიწყოდნენ უცნობი ტომის ხალხნი და ლაშობდნენ მათ დაპყრობას. საჭიროდ ხდებოდა იმათთან პირობის შეკვრა, ფულით თავის დასხნა, კავშირის შედგენა ზ მათი სამსახურში მოწვევა: შესდგა განსაკუთრებით დაქირავებული ჯარები, ისინი თუმცა კეთილსინდისიერად ასრულებდნენ სამსახურს,

მაგრამ სამაგიეროდ დიდ ფასსა თხოუბოდნენ. ესეც აღარ იკმარეს, შეიგნეს რა თავის მდგომარეობა, ისინი აღარ კმაყოფილდებოდნენ ჯამაგირით, და ყოველს, მოხერხებულ თუ მოუხერხებულ, შემთხვევაში სცილილობდნენ ახალ რისამე მოვანს, საჩუქარს, ჯილდოს. ეგრეთვე იყენენ წაქეზებულნი საზოგადოდ ყველა დანარჩენი ჯარებიც, როგორც კი მოახლოვდებოდა იმპერატორის რომელიმე დიდი დღესასწაული, —ჯარი უკვე მოელოდა რიგის გარეშე ფულის დარიგებას.

ასე იყო ეხლაც. რომის იმპერიის აღმოსავლეთის ნახევარს, ვიზანტიას, ეგვიპტეს და მცირე აზიას მართავდა თეოდოსი. თავისი პირადი ღირსებებით თეოდოსი იყო დიდად პატიოსანი კაცი, ნიჭიერი და გამბედავი სარდალი, გონიერი მმართველი და გაფრთხილებული დიპლომატი. სამეფო ტახტი იმან დიქირა სრულიად ღირსეულად

შთამომავლობით ისპანელი, შვილი შესანიშნავის რომის მხედართ-მთავრისა და შემდეგ აფრიკის ნამესტნიკისა, თეოდოსიმ ახალგაზღობაშივე გამოსცადა ბედის დაუდგომლობა. მტრებმა მის მამას დააბრალეს განზრახვა დალატისა და დასაჯეს, ხოლო თეოდოსი განაძვეეს. მაგრამ მისი დიდი ღირსებების გამო მას მისცეს შეძლება ამაღლებულიყო და ოცდაცამეტის წლისას, 379 წელსა, ჩვენ ვხედავთ მას უკვე მმართველად იმპერიის აღმოსავლეთის ნაწილისა, ხოლო შემდეგ — თვით-მყრობელ იმპერატორად.

კერძო ცხოვრებაში თავდაპირი და საზოგადოდ ყაირათიანი, თეოდოსი ძლიან სცილობდა შეფესო როგორმე დაკარიღებულნი სახემწიფო ხაზინა, მაგრამ — ამაოდ. გასავალი სკარობადა შემოსავალს, და სახელმწიფოს ყოველთვის ესაჭიროებოდა ფული. ჯარი, საჩუქრებს დაჩვეული, მინც თავისას არ იშლიდა, არ აქცევდა ამას ყურადღებას და დაეინებით თხოულობდა განებირებას როგორც თავის-ნება ბავშვი თეოდოსიმ ხშირათ არ ეცოდა, თუ როგორ მოქცეულიყო.

აი იგილაც. დაღა 387 წელი. ხელმწიფოს ოჯახში დღესასწაულზე დგებოდა: უსრულდებოდა ათი წელიწადი ტახტის მემკიდრეს, არკადის. ამასთანავე სრულდებოდა ხუთი წელიწადი მას შემდეგ რაც ახალგაზდა ცესარევის მისცეს ტიტული ავგუსტისა (საღმრთოსი).

სასახლის დღესასწაულების გამო უნდა დაერი-
გებინათ საჩუქრები ჯარისკაცებისათვის. ასე იყო მიღე-
ბული და რომ საჩუქარი არ მიეცათ — ეს ნიშ-
ნავდა აღძვრათ თავის წინააღმდეგ ამბოხება. ამას-
თანავე ერთი წლის შემდეგ დგებოდა თვით თეო-
დოსის ათი წლის მფეოპის იუბილეი. მაშინ კიდევ
ახალი საჩუქრები დასჭირდებოდათ.

დაზოგვის მიზნით თეოდოსიმ გადასწყვიტა თავის
იუბილეი ელდესასწაულნა ერთი წლით ადრე, თავის
შვილის დაბადების ათ წელიწადთან ერთად. ამ შე-
მთხვევის გამო სალდათებისათვის უნდა დაერიგე-
ბინათ თითოთვით არა ნაკლებ ხუთი (ოქროს)
ფულისა. ამასობაში ბევრი ფული შესდგებოდა,
ხოლო ხაზინაში-კი არ იყო ფული.

თეოდოსიმ იფიქრა — იფიქრა და გადასწყვი-
ტა დაედო მთელ სახემწიფოზე ახალი დიდი გადა-
სახადი, ხოლო დიდი ქალაქებიდან აედო შესამი-
ნევი ფული, ანტიოქიას, როგორც სავაჭრო და
მდიდარ ქალაქს, ეღებოდა დიდ-ძალი ფული.

ანტიოქელები ამით ძალზე უკმაყოფილონი
დარჩნენ. იმათ ჯერ კიდევ კარგად არ იცოდნენ
თუ რა იქნებოდა ახალი გადასახადი, რაჲდენი, ან
რაზე, მაგრამ მაინც წინათვე ჯავრობდნენ.

დადგა 26 თებერვალი. დილითვე ქალაქში
დაიწყეს სიარული გზირებმა! ისინი მოედნებზე ჭ-
ქუჩებზე უკითხავდნენ ხალხს იმპერატორის და-
გენილებას ანტიოქიის გადასახადზე. გადასახადი
იყო დანიშნული ძალიან დიდი. ანტიოქელებს არც
კი ეჯერებოდათ.

- როგორ? რამდენი?
- შეუძლებელია!
- უთუოდ გზირს შესცდა.
- ან ჩვენ სწორეთ ვერ გაიგვანეთ.

ასე ლაპარაკობდნენ ერთმანეთში, ხელახლა
მირბოდნენ სხვა ადგას გზირებთან და მეორეთ
ეკითხებოდნენ. ნამდვილია, როდენობა გადასახა-
დისა სწორედია დასახელებული, ამოდენა ფული
არ გაგონილა.

— ეს ხომ აკლებია! — ყვიროდა ხ.ლხი.

ხალხი ერთბაშით გაეშურა პრეტორიისაკენ იმ
ადგილს, სადაც სხდომა ჰქონდათ მმართველს და
წარჩინებულ კაცებს. იქ მმართველმა გამოუცხადა
ანტიოქიის დიდ-კაცობას ახალი გადასახადი.

რომ გაიგონეს როდენობა, იმათაც ეჯა
ერთად.

- შეუძლებელია! — უთხრეს იმათ მმარ-
თველს,
- საჭიროა, — მედიდურად უბასუხა მან.
- არ შეუძლიანთ გადახდა.
- მაშ სხაემწიფო ხაზინაც რომ ვერ დარჩე-
ბა ცარიელი: კეისარს სჭირია ფულები.
- ეგ მართალია სჭირია, მაგრამ სად არის?
- ეს ჩემი საქმე არ არის. მე შეგატყობინეთ
თქვენ ნება კეისარისა, და ჩემის მხრივ ამას შემიძ-
ლია დაუმატო მხოლოდ ერთი: ჩვენ უნდა ეს
ნება შევასრულოთ; და რაც ჩჭარა იქნება, მით
უფრო უკეთესია.“

მთ. ი. კოყეიანი

გატრძელება იქნება.



**საზნარი საეპოლ კითხვების განმარტების შემ-
სახება.**

რომ დაიაროთ მთელი ჩვენი სახელმწიფო, და
არა თუ ჩვენი სახელმწიფო, არამედ მთელი ევრო-
პაც, ყველგან ფრანგების და სხვა ქრისტიანთა აღ-
სარების ეკლესიებში ნახავთ ყველასაგან ყოველს
მღვდელ-მოქმედების აღსრულებაში ერთსა და იმა-
ვე წესს, ერთსა და იმავე ტიპონს; ყველგან
წირვა ლოცვას და სხვა მღვდელ მოქმედებათა
ერთნაირად აღსრულებენ. დიდი ნასწავლი და
მცირე სწავლის მიმდებნი ერთ ნაირად ასრულე-
ბენ ყველა წესს და განსხვავებას სრულებით ვერ
ნახავთ მღვდელ მოქმედების შესრულების ტიპი-
კონში. ზოგიერთ ადგილას როცა ახალ ვაზდა სამ-
ღვდლო ჰირი ყველაფერში ბაძავს მოხუცებულს
და თითქმის იმავე მოხუცი მღვდლის გრძნობას
უჩვენებს მლოცველ მაყურებელთ რაღაცა უსი-
მოვნო გრძნობა ებადება ყველას ჭტეიატრალურ წარ-
მოდგენად ეჩვენება ამისთანა მღვდლის წესის შეს-



რულება. ჩვენი ეკლესიის წირვა ლოცვა და საიდუმლოების აღსრულება, განსაკუთრებით ზოგიერთ მორწმუნე, მოხუცებულ მღვდელთაგან შესრულებული, გრძობით სავსე, შესამწნეია. განსაკუთრებით როცა მშვენიერი გალობით სტკებმა მოაცივლთა ყურთა სმენა მშინ მთლად ხიბლავს მღვდლის გრძობით სავსე წარმოთქმული სიტყვები მოლოცვლს.

რამდენჯერმე უფურე წირვაზე მღვდელს იოანე კრონშტატელს და გავოცდი. არც ერთი მღვდელთ. მთავრისა და მღვდლისგან არ მსმენია ისეთი გრძობით სავსე ლოცვის სიტყვები როგორც მოვისმინე ამ შესანიშნავი მღვდლისაგან. აიღეთ, მაგალითებრ ჩვენი ხუცური ნაბეჭდი წიგნები სულ სხვა-და-სხვა ნიშნები ხმებისა არის თითხმეტამდე და კარგი იქნება, რომ ნახევრის მწვენლობა, მაინც იცოდეს დღეს ჩვენმა სამღვდლოებმა. კათოლიკის ტაძრებში მთავრ დიაკვნების მშედობიანი, რომ გესმისთ გაოცებული ხართ. ისეთი ხმით ბლუიან, რომ გიკვირს რაზე აფუძნებენ ესენი ამ ბოხი ხმით ლოცვების წარმოთქმას? და მაინც და მაინც რუსული ხმის მიმსგავსებით. შეძლება ბოხი ხმა რუსულს ენას უზღვეოდეს მაგრამ ქართულ კრიალა ხმას სრულდებით არ შეშენვის ბოხი ხმა.

სამუშაობარ დღეს ქართული კიახეა აღარსად ისმის და არც ხმის ნიშნები იციან, მაგრამ ჩვენი საუბარი სრულდებით სხვა საგანს შეეხება და ამაზე ესაბო სიტყვას...

რომის კათოლესკეთა ეკლესიის ტიბიკონი და ჩვენი მართლ-მადიდებელთა უმთავრესად თითქმის ერთი და იგივეა რომის კათოლიკეთ ეკლესიის მღვდელი ბარძიმ ფეშხემის განმოსვივნებაზე არაფერს არ ამბობს. ხელმწიფეს და სხვათა მოიხსენებს საიდუმლოთ და არა დიდის ხმით, როგორც ჩვენში იციან, განსაკუთრებით მთავრ-დიაკვნებმა. არის კიდევ ზოგიერთი ადგილები კონდაკში, რომელსაც არ წარმოსთქმენ: „განვიდეთ კათაკმეველნოს“ არ იტყვიან, რადგან დღეს არსად აღარ არიან ეკლესიაში ეს კათაკმეველნი. ამთ ვარდა არიან გამოკლებულნი განმეორებითი კვერქსებთ. დანარჩენნი რაც კი არის ყოველს ადგილას და ყველასაგან ერთ ნაირად და ერთავარი ტიბიკონით სრულდება. აიღეთ მაგალითებრ ქორწინება, ნათლის-

ღება, მირონ ცხება და სხვა მღვდელმოქმედებანი, ყველგან ყველა ერთ ნაირად ასრულებს. ჩვენი სამღვდლოება კი სულ სხვა-დასხვა ნაირად ასრულებს. ავიღოთ მაგალითებრ გვირგვინის კურთხევა; ტიბკონში სწერია: მღვდელი აიღებს გვირგვინს დაიკავებს ორივე გვირგვინს ჯერეთ სასიძოს მიმართავს და იტყვის: „გვირგვინოსან იქნების მონა ღვითსა (სახელი) მხევალისათანა (სახელი) სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა აწ...“ მიმართავს სასიძოს და ეტყვის: „გვირგვინოსან იქნების მხევალი ღვითსა (სახელი) მონა და (სახელი) სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისა სამდე.“ შემდეგ გამოსახავს ჯვარის სახეს გვირგვინებით მეფე და დედოფალს და იტყვის სამ გზით: „უფალო ღმერთო ჩვენო დიდებითა და პატვითა გვირგვინოსან ჰყვენ ესენი!“, შემდეგ დაადგამს თავზე გვირგვინს ან მისცემს ძმადებს დაიკავონ მეფე დედოფლის თანვე გვირგვინები. ასე სწერია თვით კურთხევაში და ასე უნდა ასრულებდენ ყველანი. მაგრამ ასრულებენ ასე ამ ტიბიკონის ჩვენი უმეტესი ნაწილი სამღვდლოებისა? სრულდებით არა. სემინარიელები, რომელნიც ფიქრობენ სემინარიის კურსის შესრულების შემდეგ ყველაფერი იციან, უფრო ხშირად კოკლობენ ტიბიკონის ასრულებაში. სამჯელ გაიმეორებენ სიტყვებს: „გვირგვინოსან იქნები“-ს, როგორც სასიძოზე ისე სასმლოზე და ერთჯერ იტყვიან: „უფალო ღმერთო ჩვენო დიდებითა და პატვითა გვირგვინოსან ჰყვენ ესენი“-ო!..

რისთვის არ ასრულებენ ტიბიკონს როგორც სწერია? იმიტომ, რომ ცნობის მოყვარება აკლიათ და ეზარებათ ტიბიკონის კითხვა და ან წაკითხული არ ესმისთ და ამპარტოვნება ნებას არ აქლევს სხვას ჰკითხოს და შეისწავლოს რაც თვითონ არ ესმისთ...

აიღეთ მეორე საიდუმლო ნათლის ღებვისა. ტიბიკონი უჩვენებს მღვდელს, რომ მოსანათლავი უნდა ჩაიყვანოს ემბაზში და სთქვას: „ნათელს იღებს მონა ანუ მხევალი (სახელი) ესე შენი სახელითა მამისათა ამინ. ამოიყვანს და ჩაივანს ემბაზში მეორეთ და იტყვის „და ძისათა ამინ“. ამოიყვანს და ჩაიყვანს მესამეთ და იტყვის „და სულისა წმიდისათა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე



ამინ“. ამით თავდება მონათვლა ბავშვისა. ასე იქცევიან ჩვენც მღვდლები? სრულებით არა. აი ზოგიერთები როგორ ასრულებენ ამ ტიპიკონს. პირველად ჩაიყვანებენ წყალში და იტყვიან. „ნათელს იღებს მონა, ანუ მხევალი ღვთისა (სახელი) სახელითა მამის:თა და ძისათა და სულისა წმიდისათა აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ“.

ჩაიყვანენ ემბაზში მეორედ და იტყვიან: „ნათელს იღებს მონა, ანუ მხევალი ღვთისა (სახელი) სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა აწდა მარადი და უკუნითი უკუნი... ჩაიყვანს მესამეთ ემბაზში და იტყვიან: „ნათელს იღებს მონა ეცე უწნი, ანუ მხევალი (სახელი) სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ“..

ასე უკუღმართად ტიპიკონის მეორედ მღვდელს, რომ ჰკითხო: ნათლის ღება გაიმეორება თუ არაო, გეტყვის: ნათლის ღება არ განიმეორებაო!..

როცა მღვდლათ მაკურთხეს, ამ სტრიქონების დასწერს, მღვდელთ-მთავარმა გამომოცხადა, რომ ორი კვირა დაჯიჩქნა ილიყადი ქუთაისის კათედრის ტაძარში და პრაქტიკულად გავარჯიშებულიყავი წირვის ასრულებაში. მე მომიჩინეს სობოროს კანდელაკი სასულიერო სასწავლებელში ჩემ დროს მასწავლებლად ნამყოფი და ნაცნობი მღვდელი რაჭედენ გიგაუროვი. მივდექ კვეთას და დავიწყებ ცხრა ნაწილის ამოღება. ამოვიღე პირველი ნაწილი მოსახსენებლად იოანე ნათლის მცემლის, შემდეგი ნაწილი მოსახსენებლად წინასწარმეტყველთა და დავდევი ქვემოთ. ჩემმა მასწავლებელმა შემოძახა: „მამო აგრე კი არუნდა მაგ ნაწილების დალება, არამედ ზემოდ უნდა გაგვეკაბა ტარიგიდან აღმოსავლეთისკენა“.. მე მორიდებით მოვახსენე: თქვენ არ გცოდნიათ ტიპიკონი, თორემ ასე უნდა დაგვლაგებია ნაწილები როგორც მე დავდევი იმან მე არ დამიჯერა და მე მას არ დაუჯერე. ძლიერ ვწყინა, რომ კათედრის გამოკდილ მღვდელს არ დაუჯერე მისი შემდარი აზრი და დამსმინა მღვდელთმთავართან. მიმიწოდა განსვენებულმა გაბრიელმა და მითხრა.

შენ როგორ არ უჯერი გამოკდილ მღვდელს? ნუ თუ შენ უკეთესად იცი მაგაზედ.

—მე, მოვახსენე მღვდელთ-მთავარს, მე ვასრულებ ტიპიკონს და როგორც ვაეს კათედრის მღვდელს ტიპიკონი არა სცოდნია. გთხოვთ მოატანინოთ კონდაკი და წააკითხოთ თუ როგორ ასწავლის ტიპიკონი. მოიტანეს კონდაკი და წაიკითხეს. ტიპიკონიც სწორეთ ისე უჩვენებს როგორც მე ვკვეთე.

ყ-დ სამღვდლო გაბრიელი კარგად მიხვდა ჩემი მასწავლებლის მდგომარეობას და ბრძანა: ასე ყოფილა მართლა, მაგრამ ერთი და იგივეა ნაწილებს ქვემოთ ჩამოაყოლებ თუ გვერდზე გაწკაპავთ..

ღიად, სრულებით არ არის ერთი და იგივე მაგრამ დაუდევნელობა თავის მოვალეობის მტკიცედ ასრულებისა თავიდავანე დაყოლილი აქვს ჩვენს სამღვდლოებას და ეს არის ყველაფრის მიზეზი.

ფრანგების სამღვდლოებაში ახალ ნაკურთხ მღვდელს გაუგზავნიან მოხუც ნამსახურს მღვდელს გასაწვრთნელად. სანამ ეს ახალი ნაკურთხი მღვდელი მოწმობას არ აიღებს ვამწვრთნელი მღვდლისაგან რომ მას შეუძლია წირვა მოკცვის აღსრულება, ქადაგება და მღვდელმოქმედებათა შესრულებაო, ისე ცალკე მკრეველს ვერ ეღირსება. ჩვენში კი აკურთხებენ და ორიოდგეგერ აწირვინებენ კათედრის ტაძარში და წირვა თუ მოახერხა გათავდა! სოლომონ ბრძნად ითვლება!..

ყველაფერი ვითომც, სხვა საიდუმლოები და მღვდელმოქმედებანიც, იციან. მიღის სოფელი და ერთგური არ ჩაიხვდავს ტიპიკონში და როგორ შეასრულებს ყოველივე მღვდელ მოქმედება ტიპიკონისამებრ, განსაკუთრებით იმისთანა მედავითნეების ხელში როგორებიც დღეს ინიშნებიან ზოგიერთს ეკლესიებზე?

საქიროა მთავრობამ ამ ნაკლს ყურადღება მიაქციოს. ის კი დემრთმან ნუ ინებოს, რომ ახლად ნაკურთხი მღვდელი მოხუც მღვდლებს გაუგავონ გასაწვრთნელად. თუ მეორე დღეს კარგი მოწმობა არ მისცა ახალ გაზდა მღვდელს უჩივლებს მღვდელს და თუ შეელება რამ აქვს თვითონ ჩაიბარებს მის მრევლს!.

სოფლის ხუცესა.



მზარე შიკრები

ჩვენი უციო რეფორმატორები ძლიერ გვიმედობდნენ, რომ ორ კვირაში ყველაფერი გარდაიქმნება და ადვილდება ისეთი ახალი ღრო, როდესაც ცხვირს და მგელი ერთად დაიწყებენ სიერნობას და ერთი მეორესთვის თავს დადებენ! შერჩათ ბევრს ამისთანა ბავშური ტიტინი. დავიღვა ისეთი ღრო, რომლის მსგავსი, გაბედულად ვიტყვი, არასოდეს არ ყოფილა. მათთვის, რომელნიც გაძლენ და კარგად შეიმოსენ ნაძარკით, რასაკვირველია კარგი ღრო დადგა, მაგრამ მშვიდობიან ხალხისთვის, განსაკუთრებით გლეხთათვის ამისთანა დასალუბავი და წამხდარი ღრო არასოდეს არ ყოფილა. მოისპო როძგი, რომლით გალახა იშვიათად მოხდებოდა მთელს მაზრაში წელიწადში ერთი, ორი ან სამი. სამჯერმეტი არასოდეს იქნებოდა. დღეს როძგის ადგილი დიკავა გაშეშებულმა მათრახმა და თოფის თათმა. წინეთ ვაგროძგავდენ, მაგრამ ფულს მიიწვ არ იხილდი ვაპროძგველისთვის. დღეს მაზრაში კი არა თვითფულს სოფელში გამათრახებული და გვერდებ დაუქვეყნელი გამოვა 10—15 კაცი. ყველას აქვს უფლება ურტყას მათრახი მამასახლისსაც თანაშემწესაც, იასალულებისაც საზოგადოებისაგან დაქირავებულ სტრავნიკებსაც, კანდიდატებსაც და მწერლებსაც და ვინც უნდა იყოს, ყველას აქვს უფლება. ზოგიერთები ასე ამართლებენ ამ ქტველს ომიანობის დრო როცა არის გამოცხადებული ასე უნდა მოიქცნო!.. მაშ ეს, არის ხელშეუხებლობა, რომელიც 17 ოკტომბერს გამოცხადდა გამოცხადდა ავერ წინეთ, რომ გადასახადები მოისპოვო. გლეხებს ხდებოდა თითო თუშანი. შემოადგეს ადგილის გადასახადები. ეს გადასახადი მცირე იქნებოდა. მცირე კი არა ახლა რომ ხდება ხალხს გადასახადი არასოდეს არ გადაუხდია ამდენი წინეთ. წინეთ გადაიხდიდა ერთს თუმანს და მორჩებოდა. დღეს სულ იხდიან და იხდიან, აღარ გადის არც კვიტანცია, არც მოწამე და არც არაფერი სხვა. მიღის საზოგადოებისაგანვე დაქირავებულია, ვითომ დამცველი თოფით და სოფლის მამასახლისი და ითხოვენ გარდასახადს ორი

სამი წლის დარჩენილ ფულს. დაეღრიგება საცოდავად გლეხი და ეუზნება: ეგ ფულები, ბატონო, გადახდილი მაქვს, ეგ ფულები ამა და ამ პრისტავმა მომიხიოვა და იმას მივეცი და აი, ბატონო, მისი მოცემული კვიტანცია. წარუდგენს კვიტანციას. კვიტანციას გადაუდგებენ; ეგ პრისტავი ეხლა აქ არ არის, ის სხვაგან გარდაიყვანეს, უჩივლდა და გარდაახდევინე, ჩვენ ფულები მოგვეცე, თორემ ძალით წავიღებთ ყველაფერს. რა უნდა მისცეს, რომ აღარაფერი აქვს? აქეთ უნდა ეხალოს, იქეთ უნდა ეხალოს და უნდა გადინალოს, თორემ კოფეც გადაახდევინებენ და კიდევ... მიდიან მეორესთან. გლეხს აღებული აქვს კვიტანცია ხაზინიდან და ღიდი იმედი აქვს, რომ მას აღარ გადაახდევინებენ. შენ გეთხოვება ორი წლის მამულების გარდასახადი წაუშვერს კვიტანციას. ეგ არის ერთი ადგილის და მეორესი უნდა გარდაიხადო, მაშიშენის. მაშიშემი და მე ხომ, ბატონო, ერთად ვიყავით და ორი გადასახადი რათ მაქვს? ეს ჩვენ არ ვიცით ეს ფულები შემოიტანე და მერე იჩივლე და შეიძლება მერმის გადასახადებში ჩავიგდონ, თორემ რაც დაწერილია იმის უკან დაბრუნება არ შეიძლება.. მესამე ამბობს ჩემი ადგილი ორგან ჩაუწვრიათო და რად მახთვეინებთ? ღმერთის წამება აღარ არის? მესხეთე ამბობს: ჩემს მეზობელს აქვს სამი ჩემდენი მეტი მამული იმას ხდება ხუთი მანეთი, და მე ფუმანს მახდევინებთ, რას გავს ეს? ეგ ჩვენი საქმე არ არის, ეუზნებიან, აი რას გირჩევთ: ფულები გარდაიხადე მერმე წადი და იჩივლე..

სოფლის მწერლები ეუზნებიან ზოგიერთ გლეხებს, გიჯობათ მეტი აჩვენოთ მამული, თორემ შეიძლება ჩამოვართვანო. საცოდავი გლეხებიც ამით შეშინებულნი მეტს აჩვენებენ და მეტს გარდასახადსაც აწერენ! თუ ამ უწესო გადახდევინებას ყურადღება არ მიექცა სწორეთ განადგურდება გლეხობა... მაგრამ როდის შეესწრება ფულსობა ამას? ან რა დროში შერჩება აღებული ფულები ბოქაულებს? ნუ თუ მართებლობა ამისთანა ბოქაულების საქციელს ყურადღებას არ უნდა აქცევდეს?.

სოფლის ხუცესი.

შურნალ-გაზეთთაშორის

სამხედრო სამინისტროს სახელმძღვანელო.

19 მარტის სხდომაზე ორიოდე უმნიშვნელო კანონ-პროექტის მიღების შემდეგ სათათბირო შეუდგა სამხედრო სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის განხილვას.

მოსწესებულმა გუჩუაშვილმა (ოქტომბრისტი) სთქვა მესამე სათათბირო არავითარ ფულს არ იშვრებდა სამხედრო საქმეებისათვის. ესლაც მცირედების ცვლილებით სათათბირომ მიიღო სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა. სულ წელს სამხედრო სამინისტროსთვის გადადებულია ექვსას მილიონზე მეტი (613, 625, 793, მანეთი). მიუხედავად ამ უზომო ფულისა, ჩვენი სახელმწიფოს დაცვის საქმე ვერ არის სასურველად მოწყობილი. სათათბირომ თავისივალ აასრულა. ესლა მთავრობასა, უკედ სამხედრო უწყებებსა დამოკიდებული ასრულებს თუ არა იპყ თავის მოვალეობას. გამოიყენა თუ არა მან ის დრო, რაც იაპონიის ომის შემდეგ გავიდა? ისარგებლა თუ არა იმ გაცეითლებით, რომელიც ამ ომმა მოგვცა? გადაწყვიტა თუ არა სამინისტრომ ძირითად რეფორმების მოხდენა? ამაზე პასუხს, ეკვი არ არის, ახალი სამხედრო მინისტრი მოგვეცემს: ჩვენ წინ დიდი ნაციონალური საქმეა. ამიტომ წვრილმანად უნდა ჩაითვალოს მეცადინეობა ძველი რეჟიმის მომხრეებისა, რომელთაც განუწყენტილი კამათი აქვთ ხელმწიფოს უფლებებზე (ტაში ცენტრში, სტვენა მარჯვნივ). ჩვენთვის აღვილი გასაგებია იმათი სულის კეფება, რომელნიც სცხოვრობდნენ და იკვებობდნენ მთავრობისა და ხალხის ბრძოლის გარშემო: ამათ უნდათ, კვლავ ჩამოაგდონ შფოთი და ბრძოლა. იმედი ვიქონიოთ, რომ მათი სურვილი არ ასრულდება.

სამხედრო მინისტრის წარმომადგენელმა გააცნო სამინისტროს ის, თუ რა ცვლილებისა და რეფორმების შემოღება აქვს განზრახული სამინისტროს. სამინისტრო ხედავს, სთქვა მან, სამხედრო საქმის დაქვეითებას და კიდევ განიზრახა მისი სრული რეორგანიზაცია. ორატორის სიტყვით, განზრახულია სრული რეორგანიზაცია სამხედრო უწყებისა. ამ საქმეს კიდევ შესდგომიან და შისაფერ მოხსენებებს მაღნ წარუდგენენ სათათბიროს.

ბრეიანსკიამც. (კადეტი) საქიროდ სცნო რუსეთის ძლიერებისთვის სამხედრო რეფორმები. სხვათა შორის, ორატორმა საქიროდ სცნო სამხედრო და სამოქალაქო საქმეების განკალკეება. ჯარი პოლიტიკას უნდა ჩამუშაოროთ და საპოლიციაო საქმეები თავიდან ააცლინოთ. გააძლიერეთ რამდენიც გინდათ პოლიცია, მხოლოდ ჯარს სამხედრო საქმის მეტო ნურაფერს გააკეთებინებოთ. ის მეომარნი, რომელნიც პოლიტიკაში ერევიან, რომელნიც თავიანთ საქმეს არ აკეთებენ - ეს მეომარნი ჯარისთვის აღარ გამოადგებიან.

ზურაბშვილიმ სათათბიროს უმრავლესობას გადააბარა ის შერცხვენა, რომელიც ამ ბოლოს დროს რუსეთმა სავარყო საქმეში განიცადა. ეს უმრავლესობა მთელი ქვეყნის წინაშე გაიძახოდა, რუსეთი სუსტია. ჯარი არ უფარგაო. არა, ბატონებო, ჩვენი ჯარი ძლიერია არავითარი რეფორმა არ არის საჭირო. ჯარისთვის საჭიროა მხოლოდ ძველი პატრიოტიზმი და არა ზამბის-მრეწველთა პატრიოტიზმი.

გრაფმა ბობრინსკიმ (ზომიერი მემარჯვენე) სთქვა: ესლა მეტია სინანული და დარდი იმაზე, რაც მოხდა, ჩვენ ესლა უნდა მზადებას შეუდგეთ დიდ ხანს უნდა ვემზადნეთ. ეს უნდა იყოს ჩვენი პასუხი ჩვენის მტრებისა და მოყვრებისათვის. დეე, ჩვენმა ძმებმა სერბებმა და სხვებმა იცოდნენ, რომ ვემზადებით და ვმუშაობთ. ღმერთი ინებებს და მომავალში პასუხს გავცემთ ჩვენ მტრებს.

კრებნსკიმ და სოკოლოვმა მხარი დაუჭირეს უშუქოვს.

ჩხეიძე. მილიტარიზმი კაპიტალისტურ სახელმწიფოს შვილია. ჩვენ სოც.-დემოკრატები, მთელის ჩვენის ძალღონით ვებრძობთ თქვენს ინტერესებს; თქვენ სახელმწიფოს მტრებდა ვთვლით და ბრძოლითვე გვაძლიერებთ. აი ამ ბრძოლისთვის საჭიროა თქვენთვის ჯარი ჩვენ უარსა-ვყოფთ ყოველგვარ ჯარს. ხალხთან ბრძოლაში თქვენ და თქვენმა მთავრობამ, სამუშაოროდ, გამიარჯვეთ, მაგრამ ეს გამარჯვება ხანგრძლივი არ იქნება ხალხსა სძულხართ და ვიდრე თქვენმა სახლვარ-გარეთელმა მეზობლებმა იციან, რომ თქვენ ხალხი არ ვიყუროთ მხარს, მანამდე ისინი თქვენი ბრძანებელნი იქნებიან. რუ



სეთის სახელსა და დღედებას შექმნის მიზნად ხალხის გამარჯვება თქვენზე და მთავრობაზე. ჩვენ, სოც.-დემოკრატებს, სამარცხინოდ მიგვაჩნია იმ ფულის გადაღება, რომელიც მთავრობას უნდა მიეცეს.

სეკეინტემა (ოქტომბრისტი) მხარი დაუჭირა გუჩიკოვს. თავის სიტყვის ბოლოში იგი ჩხვიძეს შეეხო და სთქვა: კავკასიელმა დებუტატმა ჯარი უარ ჰყო. მან მთელის რუსის ხალხის სახელით ილაპარაკა. ნება მიბოძეთ განვაცხადო, რომ ეს დებუტატი ცილსა სწამებს რუსის ხალხს.

ბერს. სინოდმა არ შეიწყნარა ეს და გაგზავნა კუროიის მონასტერში, ხარკოვის გუბერნიაში. აქ მან 25 აპრილიდან 20 დეკემბრამდე დაჰყო; შემდეგ მოსკოვში წაიყენნეს, სადაც იგი ავადმყოფი ჩავიდა. მიუხედავად ამისა, მინც ნება არ მისცეს სამხრეთ რუსეთში წასულიყო მოსარჩენად, 10 იანვარს ლამე მოსკოვის გოლიცინის საავადმყოფოდან კირიონი აღმირიტრატულის წესით გაგზავნეს ერთ მონასტერში რომლის სახელი და ადგილი იმის მეგობრებისათვის გაუგებარი დარჩა ქართველი სტუდენტები იმედს თქვენ გაგვინაზე ამყარებენ. იმედი აქვთ, თქვენ მოახერხებთ, რომ უბედურ ეპისკოპოსის საქმეს განიხილავენ, ყურადღებას მიაქცივენ მის ხარისხს და მოხუცებას და უკიდურეს შემთხვევაში მას გაუსამართლებლად არ დასჯიან. ყველაფერი ეს მე ელემენტალურ საქმედ მიმაჩნია და ამიტომ ვშუამდგომლობ რუსეთის დებუტატთა პალატის თავმჯდომარის წინაშე, რომ ამ საქმეს ყურადღება მიექცეს. კეთილი ინებეთ და სამხრატორო მთავრობას აცნობეთ ყოველივე ეს, რომ ქართველი ეპისკოპოსი უზრუნველყოთ მართლმსაჯულების ელემენტალურ გარანტიით. ბრიუსელი, 10 მარტი, 1909 წელი. ჟორჟ ლორანი“.

ახალი ამბები და შენიშვნები.

* * როგორც წერდნენ, ბელგიის „კაცთა უფლებების ლიგის“ თავმჯდომარემ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს ხომიაკოვს გაუგზავნა წერილი, ეპისკოპოს კირიონის შესახებ. „ნაშა ვაზეტა“-ში მოყვანილია ამ წერილის შინაარსი. აი, რას სწერს ლიგის თავმჯდომარე ხომიაკოვს „ბნო თავმჯდომარევე! ბრიუსელის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა მიხზოვეს, თქვენ წინაშე ვიშუამდგომლო ეპისკოპოს კირიონისთვის და გთხოვთ თქვენ, როგორც რუსეთის მოქალაქეთა ბუნებრივ დამცველს, კეთილ ინებთ, დაეხმაროთ და ყურადღება მიაქციოთ ამ პატიცემულ მოხუცის მდგომარეობას, რომელიც გაუსამართლებლად და უმიზეზოდ განდევნეს. ეპისკოპოსი კირიონი კონკრეტულად დაენიშნათ. ამ ადგილის მიცემა კირიონისთვის ძალიან სამძიმო იყო, რადგან დამცირებას ნიშნავდა. მან არჩია თანამდებობაზე უარი ეთქვა და სინოდს სთხოვა, ნება მიეცათ თავისი დანარჩენი დღეები სამხრეთ რუსეთის ერთ მონასტერში დაეღია, როგორც უბრალო

* * შაბათს, 21 მარტს, მოხდა ძველის ამგებ კომიტეტის კრება. კრებას მოხსენდა ხმად გავანილი ცნობა, ვითომ ოზურგეთის თვით-მართვლობას გადაეწყვიტოს დადგმა ეგნატე ნინოშვილის ძველისა ოზურგეთში თუ ეს კრების მიერ მოწონებული ხმა გამართლდა, კომიტეტი ჰფიქრობს, რომ იგი უნდა შეუერთდეს ოზურგეთის თვითმართვლობას და მასთან ერთად იმოქმედოს ძველის დადგმის საქმეში. კრებამ დაადგინა: 1. მისწეროს ოზურგეთის თვითმართვლობას ეს ამბავი და სთხოვოს აღძრას შუამდგომლობა შესახებ ნინოშვილის ნეშტის გადატანისა ოზურგეთში; 2. ეხლავე დაიბეჭდოს ორი მოთხრობა ეგნატე ნინოშვილისა ცალ-ცალკე — „პალიასტრომის ტბა“ და



„მოგია უიშვილი“ — ავტორის სურათით, ხუთ-ხუთი ათასი; 3. რაც შეიძლება ბევრგან საქათველოში გაიმართოს პანაშვილები*) ამა წლის 15 მაისს განსვენებულის გარდაცვალების თხუთმეტი წლის თავზე. ამავე დღისათვის წაკითხულ იქმნას რეფერატები და ლექციები ნინოშვილის შესახებ; 4. შეიძინოს ხუთი მანეთის თხზულებანი ნინოშვილისა სხვა და სხვა საჭიროებისათვის.

* * * გერმანიის სახლი მოთხოვნა. „ნოვ ვრემია“-ს კორესპოდენტი იუწყება ლონდონიდან: აქ ხმადანს, გერმანიამ მოსახლეობა რუსეთს, რომ იგი ინგლისსა და საფრანგეთს მოშორდეს და გერმანიას დაუახლოვდეს. ვენური ოფიციალური გაზეთები გაკვირთ ამბობენ, რომ რუსეთმა გერმანიის ძალდატანებით უკვე მოლაპარაკება გამართა ავსტრიისთანაო. ბარონ ერენტალს იმედი აქვს, რომ გერმანიის ძალდატანებით რუსეთი სერბიას ავსტრია-ჰუნგრეთის გავლენის სფეროში მყოფად აღიარებს.

* * * ავსტრია კიდევ ემზადება საომრად. ავსტრიის ჯარი დღესაც განაგრძობს საომრად მზადებას. დიპლომატთა წრეები ჰეიქრობენ, რომ ავსტრია რუსეთისთვის ამზადებს ჯარსაო; ამით იგი გერმანიის ახალ მოთხოვნებს უკერს მხარს და თითონ გერმანიას ანთავისუფლებს საომარის მზადების ხარჯისაგანაო.

* * * სერბიის საერო კრების თავმჯდომარეს მრავალი თანაგრძნობის დებეშა მოსდის რუსეთიდან.

*) ვიქტორ ჰიუგომ ანდერძი დასტავა „ღმერთი მწამს, მაგრამ არაფერი მღვდელთ მოქმედება არ ამისრულოთო: მისი სიკვდილის შემდეგ ერთი მღვდელი ექსარხოსს პავლეს სთხოვდა ნება მიეცათ მისთვის, რომ პანაშვილი გარდაეხადა ვიქტორ ჰიუგოს სულის მოსახსენებლად. ექსარხოსმა ამ მღვდელს გამოუტანდა: თავს ნუ იწუხებთ, რადგან თვითონ ვიქტორ ჰიუგო მას არა ეთხოვსო, ნინოშვილი თხოვილობდა პანაშვიდის გარდახდას თუ არა?

გვინებ არა. მოძღვარს უკეთ ეცოდინება...

ერთ სერბიელ დიპლომატს სტამბოლში უთქვამს „ნოვ ვრემია“-ს კორესპოდენტისთვის: ეხლა სერბები იძულებულნი არიან ავსტრიას დაუმეგობრდენ და იქნება ამ სახელმწიფოსაგან მეტი სარგებლობა და ხეირი ნახონ, ვიდრე რუსეთისაგან, რომელიც ცალიერ ზნეობრივ დახმარებას უწყევდა სერბიას; ამიტომ ამას იქით სერბიის ძველი მეგობრობა რუსეთთან მთლად მოისპობაო.

* * * ავსტრია კონტრინსუტის თხოულობს. ჩხეური გაზეთები ირწმუნებიან, რომ ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრი ბარონი ერენტალი სერბიისაგან 20 მილიონ ფრანკს თხოულობდა მობილიზაციის ხარჯის სახალაურად, მაგრამ ინგლისმა გადაჭრით გამოაცხადა, რომ ეგ მოთხოვნა ყოველად შეუწყნარებელიაო, და ბარონ ერენტალმაც ხელი აიღო თავის განზრახვაზეო.

* * * უცხოეთის გაზეთები ირწმუნებიან, გერმანიის ულტიმატუმში, რომელიც მან რუსეთს წარუდგინა, სხვათა შორის ეწერა, რუსეთმა ისიც უნდა დააფასოს, რომ გერმანიამ და ავსტრიამ არ ისარგებლეს რუსეთის დიდის გაქირვებით და უძლურებითო.

* * * ავსტრიის და რუმინის კავშირი. რუმინული გაზ. „დიმონეტე“ ირწმუნება, რომ ავსტრიის ჭრუმინის შორის საიდუმლო სამხედრო პირობა დადებული. რომ ომის დროს რუმინიამ ავსტრიის მხარე უნდა დაიჭიროსო ესეთივე ცნობა იყო დაბეჭდილი მეორე რუმინულ გაზ. „ადვერულ“-შიაც.

* * * დეკანოზი ფოსტარგოვა. როგორც მკითხველებმა იციან. ფოსტარგოვი კიბირში გაემგზავრა, სადაც სკოლებს დათვლიერებს და მერე ჩინეთსა და იაპონიაში გაემგზავრება იქაურ მისიების სარევიზიოდ. „ნაშა გავეტას“ სიტყვით, მთავრობას კიბირის რკინის გზის ყველა სადგურისთვის საჩქაროდ შეუტყობინებია, ფოსტარგოვმა



სადაც და როდესაც მოითხოვოს, პირველი კლასის ვაგონი მიეცითო*.)

* * სინდღში. სინოდში ამ უმად ადგენენ ახალ კანონ-პროექტს, რომლითაც ცოლ-ქმრობის განქორწინების საქმეები სამოქალაქო სასამართლოს გადაეცემა.

* * „რუსეთას დამარცხება“. ნოვ. ვრემია“-ს კორესპოდენტი იუწყება ლონდონიდან: „რუსეთის დამარცხებამ და გერმანიის ბრწყინვალე გამარჯვებამ თავზარი დასცა ინგლისურ პრესას. ეს შთაბეჭდილება თან და თან ძლიერდება და ღრმავდება. ბერძნა ინგლისურმა გაზეთმა ცალკე განყოფილება გაიჩინა სათაურით: „რუსეთის დამარცხება“. მთელი პრესა ერთხმად ამბობს, რომ რუსეთის ასეთმა დამარცხებამ კჳუა უნდა ასწავლოს ინგლისსა, საფრანგეთსა და სხვა დამოუკიდებელ სახელმწიფოებსაო.

გავლენიანი ინგლისური გაზეთები „ტიმს“ ი და „დეილი ნიუზ“-ი მეტად მკაცრად ჰგმობენ რუსის დიპლომატიის მოქმედებას. „დეილი ნიუზ“-ი სწერს:

«მრავალი მიზეზი აქვს რუსეთის დამარცხებას რუსის ჯარისა და ფინანსების სისუსტე—ეს ერთი, შიში, რომ ვაი თუ ახალ ომის დროს შინაგანი არეულობა დაიწყოს—ეს მეორე. დასასრულ იზგო-ლსკის ორქოფი პოლიტიკა—მესამე. ყოველ შემთხვევაში გამართლდა აზრი, რომელიც ჩვენ გამო-

*) ვოსტორგოვი მეტის მეტად ნიჭიერი კაცია და ისეთ რამეს გამოიგონებს, რომელიც არ არსებობს. თავის ანგარიშებში იგი ნახევარ ჩინელებს და იაპონელებს მონათლულად გამოაცხადებს ისე, როგორც სომხების უმეტესი ნაწილი მართლმადიდებელი სარწმუნოების მიმღებად გამოაცხადა. საექსპროსოს მოამბეშია ის არის გაგზავნილი მისთვის, რომ დაარსოს ყველგან „კუშმარტ რუსთა კავშირები“. კიდევ მტკიცეთ აღასრულებს ამას... ცოტა ფული კი არ მიაქვს ამ საქმისათვის... შეიძლება ბილდინანი დი იაპონიის ხემწიფეც მონათლოს!..

ესთქვით, როდესაც ინგლისმა ის-იყო შეთანხმება დასდვა რუსეთთან. ჩვენ მაშინვე აღვნიშნეთ, რომ რუსეთს უფრო გერმანიისაკენ აქვს გული, რომ მისი ნამდვილ ადგილი გერმანიის ბანაკშია. მაროკოს კრიზისის დროს გერმანია შეეცადა ინგლისის და საფრანგეთის განცალკევებას, მაგრამ ვერას გახდა. ესლა, ბალკანეთის კრიზისის დროს, გერმანიამ მიიწინააღმდეგა რუსეთის ჩამოშორება ინგლისისა და საფრანგეთისაგან და ეს მეცადინეობა გამარჯვებით დაგვირგვინდა. ინგლისს უშთავრესად ის უნდოდა, რომ რუსეთი დიდ სახელმწიფოდ დარჩენილიყო; მისი აზრით, ეს საქირო იყო ევროპის ძალთა თანასწორობისათვის, მაგრამ ინგლისის მეცადინეობამ ამაოდ ჩაიარა. ვერც ერთი მოკავშირე და მეგობარი სახელმწიფო ვერ აღუდგენს სახელს იმ ქვეყანას, სადაც შინაგანი წყაობილება დამყარებულია ძალაზე. რუსთი ჯერ თავისუფლად სახელმწიფოდ უნდა გახდეს და ისიც მხოლოდ ერთი თაობის შემდეგ იქცევა იგი ხელახლად დიდ სახელმწიფოდ.

* * * არეულობა ოსმალეთში, რეაქციის მომხრე პარტიამ საღდათები და უბრალო ხალხი ააჯანყა, სულთანს დაათხოვინა მინისტრები და ახალი მინისტრები დაანიშნინა. სულთანს ძლიერ გაეხარდა ეს და ფიქრობს კონსტიტუცია სულ გააუქმოს. სულთანმა 10 ათასი ოსმალური ლირა დაურგია საწყურად ხოჯებს. ამედ რიზა, მოთავე ახალგაზდა თათრებისა თანამდებობიდან გადადგა და მისთან ყველაშისი პარტიის პარლამენტის დეპუტატები. ახალგაზდა ტურკების განკარგულებით ჯაფშინანი ხოლმადები წამოვიდა კონსტიტუციონალიზმზე თუ საქირო იქნა. ისეა და სხვა ადგილებიდან მოდის დეპუტები, რომელშიცა პრაეტესს უცხადებენ ასე მოულოდნელად მინისტრების დათხოვნას და უპარლამენტოთ სულთანისაგან სხვების დანიშვნას. ახალგაზდა ტურკები იწვევენ ხალხს რამე მტკიცეთ მოითხოვონ კონსტიტუციის დატოვება წინააღმდეგ შემთხვევაში სათათრეთი მიისპობა. სულთანის ჯამგირი ექვს მილიონს იღებს, სანახევროდ შემოკლებიათ.

* * * სტამბოლში მატროსებმა საზღვაო სამინისტროში აწმუშვეს ახალი საზღვაო მინისტრი. პოლიციის მინისტრს პოლიციელებმა გამოუცხადეს, სამსახურიდან გადადექიო. მინისტრმა აასრულა ეს მოთხოვნილება და მინისტრობიდან გადადგა.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და ეთიკა-ზნეობაზე.

ხაკება ღმთის-მშობლისა. (25 მარტა).

დღეს ცხოვრებისა ჩვენისა თავი არს, და საუკუნითან დაფარულისა მის საიდუმლოსა გამოცხადება, რამეთუ მე ღმთისა ძედ ქალწულის იწოდების, და გაბრძოლ ახარებებს მადლსა მას, რომელსა ჩვენცა ზამალალად უღალადებთ: გინაროდენ, მიმადლებულა, უფალი შენთანა. (ტროპ).

ებრაელის ერსა ახაზის მეფობის დროს წინა აუწუა ისაია წინასწარმეტყველმა მაცხოვრის ქალწულისაგან მუცლადღება შემდევი შემთხვევის გამო:

ახაზ მეფე იქაზდინ დაბრძამებული იყო გერბთ-მასხურების ბიწიერებითა, რომ კერძს შესწირა თვისი შვილები, [დმერთმა დასაჯა ებრაელნი მტრების თავდასხმითა. ასურის მეფემ დააპარცა ახაზი და მრავალნი ებრაელნი დაატყვევა, სოლო ისრაელთა მეფემ ერთ დღეს დახოცა თორმეტი ათასი ურია, ამ ორ მეფეთა ზირობაც შეჭერეს, რომ სრულიად გაუქმებინათ ტახტი ახაზისა, ეოფილი მეფე დავიტისა. ამ მიხნით მტერთა მიმართეს იე-

რუსალიძს, თვით ახაზი და ურიანიცა ფრიად შემინდნენ, ამ დროს დმერთმა მიუვლინა მეფე ახაზსა წინასწარმეტყველი ისაია. მან კამოუცხადა ახაზსა, რომ პოროტი განზრახვა მტერთა არ შესრულდებოდა. რომ დარწმუნებულიყო ამახედ ახაზი, ისაიამ წინადადება მისცა მას, რათა ეთხოვნა უვლისაგან რომელიმე სასწაულის გამოცხადება ქვეყანაზე ანუ ცაში. მაგრამ ურწმუნო ახაზმა დაცინვით წარმოსთქვა: «არა ვსთხოვ მე და არც მინდა გამოვცადაო უფალი». მაშინ, სამხილველად ახაზის ურწმუნოებისა, ისაიამ სთქვა: «თვით უფალი მოგცემთ თქვენ სასწაულსა: აჯა ქალწული მიუდგეს და შეეს მე და უწოდონ სახელი მისი ემძანუილ—ჩვენთან არს დმერთი—ამ წინასწარმეტყველებით ისაიამ ჩაატონა მეფე ახაზსა, სხვათა შორის, ისა, რომ მეფობის სახლსა დავითისასა ვერავინ მოსწობდა, ვიდრე არ მოასლოცებოდა დრო მაცხოვრის შობისა, როგორც აღუთქვა დმერთმა დავით მეფესა. მართლაც მტერთა—მეფეთა ვერ შესრულეს თვისი განზრახვა და მოპოვდნენ იერუსალიძსა.

წინასწარმეტყველება ისაიასი აღსრულდა მაშინ, როდესაც ქალწული მარიამი, თოთხმეტი წლისა, იმეოფებოდა ქალაქ ნაზარეთს, მოხუცი იოსების სახლში. აქ გამოეცხადა მარიამს მთავარ-ანგელოზი გაბრიელი და უთხრა მას: «გინაროდენ, მიმადლებულა მარიამ, უფალი მენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის.» მარიამს შეეშინდა და დაფიქრდა. მაშინ ანგელოზმა უთხრა: «ნუ გშინიან, მარიამ: რამეთუ ჰპოვე მადლი წი-

ნაშე ღვთისა, აჭა ესერა შენ მუცლად იღო და შეე მე და უწოდო სასული მისი იესო. ესე იუოს დიდ და მე მადლისა ეწოდოს, და მისცეს მას უფალმან ღმერთმან საუღარი დაღვთისა მამისა თვისისა და შეუფებდეს სახლსა ზედა იაკობისასა საუკუნოდ, და სუფევინა მისისა არა იუოს დასასრული. "მარიამი შეეკითხა ანგელოზსა: "ვითარმე იუოს ესე ჩემდა, რამეთუ მამა-გაცი არა ვაცი?" ანგელოზმა მიუგო: სული წმიდა მოვიდეს შენზედა და მალი მადლისა გუარვიდეს შენ, ამისთვისცა შობილსა მას წმიდა ეწოდოს ესე მადლისა აჭ ელისაბედი, ნათესავი შენი, იგიცა მიდგომილ არს მესა სიბერესა თვისსა, და ესე შეეკვე თვე არს მისი, რომელსა იგი ერქვა ბერწ. რამეთუ არა შეუძლებელ არს წინამე ღვთისა ეოველი სიტყვა" მარიამმა მიუგო: "აჭა მსევალი უფლისა, მეუვენ მე სიტყვისაგერ შენისა. "შემდეგ ამისა ანგელოზი წარვიდა მისგან,

თქმულთა მათ მისა მიმართ უფლისა მიერ. "მამინ მარიამმა სთქვა: "ადიდებს სული ჩემი უფალსა, და განცხარა სულმან ჩემმან ღვთისა მიმართ მაცნაოვრისა ჩემისა. რამეთუ მოხენდა სიმდაბლესა ზედა მსევლისა თვისისა, რამეთუ აჭ ესერა ამიერიდგან მნატრიდენ მე ეოველი ნათესავნი." მარიამმა დაჭყო ელისაბედთან საში თვე, შემდეგ დაბუნდა თვის სახლში

ი. ბაღუევი



წმიდა წინასწარმეტყველი მსაი და მისი წინასწარმეტყველების წიგნი.

ეს არის ხარება ღვთისმშობლისა. მარიამი კავშურა, წავიდა ელისაბედის სახანავად. როდესაც შეესმა ელისაბედს მოკითხვა მარიამისა, სულითა წმიდითა და დიდი ხმითა უთხრა მარიამსა: "კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის, და კურსეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა. და ვინა ჩემდა ესე, მოვიდეს დედა უფლისა ჩემისა ჩემდა. რამეთუ აჭა ესე რა ვითარცა იყო ხმა მოკითხვისა შენისა ურთა მიმართ ჩემთა, ჰკრთებოდა ვრმა ესე სიხარულით მუცლსა ჩემსა. და ნეტარ არს რომელსა რწმენეს, რამეთუ იუოს აღსრულებ

წმიდა ესაია წინასწარმეტყველი სცხოვრებდა იულიანთა სამეფოში, ქ იერუსალიმში; გარდმოცემით, ის იყო ძმისწული მეფის ამასიასი; ესაია მოღვაწეობდა მეფეების ოზიას, იოათამის, აქაზის და ეზკიას მეფობის დროს. კერპთმსახურს მეფეს აქაზს არ მოსწონდა ესაია, როგორც მამხილებელი მისი უსჯულოებისა; ეზკია მეფე კი სიყვარულით ეყრობოდა წმ. წინასწარმეტყველს და პატივს სცემდა. ესაიას ლოცვით განიკურნა ეს მეფე სენისგან და მისივე ლოცვით მოსრა ანგელოზმა მტრის ჯარი იერუსალიმის კედლებთან მომდგარი. თანამედურათა გადმოცემისა, ესაია წინასწარმეტყველი აღესრულა მოწამებრივი სიკვდილით. კერპთმსახურმა მეფემ მანასიამ მოისურვა მისი მოკვლა და



ბრძანა დაეკრათ იგი; ესაია ხის ფულუროში მი-
ეფარა, მაგრამ მტანჯველებმა ჰპოვეს, მოსტრეს ეს
მე, დაუწყეს ხერხვა და ხესთან ერთად წინასწარ-
მტყველიც გადახერხეს შუაზე.

წიგნი ესაია წინასწარმეტყველისა.

ყოველი წინასწარმეტყველი, ღვთისბრძანებით,
ვალდებული იყო დაეროებინა ხალხი და დაემწო
იგი ქემშარიტი სჯულით და მოძღვრებით, ემზი-
ლებინა უწყსო და სჯულის წინააღმდეგი საქციელი
და უმთავრესად ეწინასწარმეტყველნა მომავალი.
ესაია წინასწარმეტყველიც თავის წიგნში შეეხება
ურიათა ისტორიას: ამხელს მათ კერპთაყვანისმცე-
მლობასა და ზნეობრივს სიწმინდისათვის. მაგრამ
უმთავრესი შინაარსი ამ წიგნისა არის წინასწარმე-
ტყველება. ესაიას წინასწარმეტყველებანი შეეხები-
ან ურიასტანს და ურიათა, მაგრამ არც სხვა ერები,
რომლებსაც რაიმე კავშირი ჰქონდათ ურიებთან
დაუფიწყნა წინასწარმეტყველოს. ყველაზე უმთავ-
რესი წინასწარმეტყველება ესაიასი არი წინასწარ-
მეტყველება იესო ქრისტეს შესახებ. ესაიას წინა-
სწარ თქმული აქვს მთელი ცხოვრება მაცხოვრისა
შობიდან სიკვდილამდე; განსაკუთრებით ენება და
ჯვარცმა მაცხოვრისა, თითქმის დამწერი მდგარიყო
ჯვართან და იქ ეწეროს ეს წინასწარმეტყველება
ამის გამო წმ. ესაიას მახარობელსაც კი უწოდებ-
დენ.

ენა ესაიას წინასწარმეტყველების წიგნისა
არის ამაღლებული, ძლიერი, ცხადი და მკაფიო;
მისი მოძღვრება მომზიდავია, მზილება სასტიკი,
მუქარი საშინელი, ხოლო ნუგეში დამშვიდე-
ბული და სასიხარულო.

უმთავრესი წინასწარმეტყველებანა.

ჩამოვთვლით უმთავრეს წინასწარმეტყველებებს. მეორე
თავში მოყვანილია წინასწარმეტყველება შესახებ
ქრისტიანული ეკლესიის გაერცელებისა იერუსალი-

მიდან; როგორც ურიანი, ისე წარმანი შევლენ
ქრისტეს ეკლესიაში და ქვეყანაზე დაყარდება მშვი-
დობა. მეშვიდე თავი შეიცავს ყველასგან ცნო-
ბილს წინასწარმეტყველებას შესახებ იესო მაცხო-
ვრის შობასა მარიამ ქალწულისაგან: აჭა ქალწულმან
მუცლად ადოს და შგეს ქე და უწოდონ სსხედი მისი
ემშანუად. რომ ემშანული არის იესო ქრისტე,
ნათესავი დავითისა ხორციით და ქალწული, რომ-
ლისაგანაც უნდა იშვას იგი არის ყ-ღ წმიდა მარი-
ამი, ამას ამოწმებს მათე მახარობელი, რომელიც
იესოს შობის გამო ამბობს, რომ წინასწარმეტყველე-
ბა აღსრულდაო და მოჰყავს სწორედ ეს წინასწარ-
მეტყველება. მეცხრე თავის 1-10 მუხლში ჩამოთვ-
ლილია იესო ქრისტეს ღვთაებრივი თვისებანი და
მოხ-ენებულება გალილია, როგორც მაცხოვრის ქე-
დაგების აღვლილი 11 თავში შეცულია წინასწარმე-
ტყველობა იესო ქრისტეს შობის შესახებ იესეს
ტომისაგან; სული წმიდით განბრძნობილი მაცხო-
ვარი დაამყარებს ქვეყანაზე მშვიდობას, სიმართლეს
და ქემშარიტს ღვთის მსახურებას. მეცხრამეტე თა-
ვში წინასწარმეტყველება იესოს ეგვიპტეში განხი-
ვნის შესახებ: 48 თ, იესო მაცხოვარი იწოდება
ღვთის რჩეულ ყრმად (ძედ), რომელიც თანაც დაიმ-
კვირებს სული წმიდა, რომელიც იქნება ძდაბალი
მოწყალე, შემწყნარებელი, ყოველთა მხსნელი (მა-
თე 12, 17-21). 53 თავში შეცულია წინასწარმე-
ტყველება მაცხოვრის ენებაზე და ჯვარცმაზე. ში-
ნაართი ამ წინასწარმეტყველებისა სრულებით ემს-
გავსება მაცხოვრის ენების ისტორიას, როგორც
მოთხრობილია სახარებაში. მახარობლებს ზოგიერ
თი აღვლილი ამ თავიდან მოყავთ, როგორც წინა-
სწარმეტყველება იესოზე აღსრულებული. 61 თა-
ვის წინასწარმეტყველობა თვით მაცხოვარმა ახსნა
როგორც მასზე აღსრულებული ნაზარეთის
შესაკრებელში (ლუკ. 4, 16-21)

11

Дозволено Цензурою 30 Марта 1909 года г. Кутаиси

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ზ. ლამაშიძე, 30 მარტი 1909 წ.

საბამა თურნალის „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ლამაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.